ვ. ვაზიანი.

უბრალო ჭეშმარიტებანი.

გაზეთ „იმერეთის“ გამოცემა.

ქუთაისი.
ტიპ. „ძმობა“, პუშკ. ქუჩა, სახლი გოკიელ-ეისა
1914

უგრალო ჯეუმარიტებანი.

I

როცა ქვეყანას ემუქრებიან ძალნი ბუნებისა, როცა ქვეყანას მოელის ხოლერა, თუ შავი-ჭირი, სიმშილი, თუ მტრისგან აოხრება, მაშინ ყოველივე პატიოსანი ხალხი განურჩევლად პარტიებისა, კლასისა, სარწმუნოებისა და ასაკისა, მოიკრებს ხოლმე მთელ თავის ძალღონეს, შეაერთებს ხოლმე თითოეულის ცოდნასა და ნიჭს, რომ შეერთებულის ძალებით გაუმკლავდეს ქვეყნის საერთო უბედურებას.

მე მგონია, რომ ამჟამად ჩვენი ქვეყანა განიცდის ერთ-ერთ ამ საერთო უბედურებას... აი, ამიტომ მე მინდა მივმართო არა ამა თუ იმ დასს, არა ამა თუ იმ კლასს და სარწმუნოების აღმსარებელს,

არა! მე მსურს მივმართო ყველას ერთად, ვინც კი ჩემს სამშობლოში ცხოვრობს და მოვახსენო შემდეგი:

ვიდრე ახალი სახლი არ დამთავრდება, ძველს არ დაანგრევენ ხოლმე. ვიდრე ახალ უფლებებს არ შეიძენენ, ძველ უფლებებზე ხელს არ აიღებენ ხოლმე, რაც უნდა უბირი და საპყარი იყოს ეს უფლებანი.

ეს საანბანო ჭეშმარიტებაა და ამის მტკიცებასაც არ დავიწყებ, ვინაიდან ჭკუათა მყოფელი კაცისათვის ეს თავისთავად ცხადია და ასედაც იქცევა. მაგრამ განა ასე ვიქცეოდით ჩვენ, ქართველები, მთელის წარსულის საუკუნის განმავლობაში? განა ასე ვიქცევით დღესაც? ვეჭვობ და ვეჭვობ დიდათაც...

წარსულ საუკუნის დასაწყისში ჩვენ გვქონდა არჩევნებზე დამყარებული მმართველობა (ადმინისტრაცია), ჩვენ გვქონდა

ამავე არჩევნებზე დაფუძნებული სასამართლო ეროვნულის კანონმდებლობით (სჯულდება ვახტანგისა), ჩვენ გვქონდა ჩვენი ეროვნული ავტოკეფალური ეკლესია, რომელსაც განაგებდა ხალხის მიერ არჩეული კათალიკოსი, ჩვენ გვყავდა ჩვენი ეროვნული ჯარი, შეკრებილი იმ წესითა და სისტემით, რომელსაც თავგამოდებით ქადაგებს დემოკრატია მთელის ევროპისა.

დიახ, ყველა ეს გვქონდა და გვყავდა, მაგრამ ყოველივე ეს დავკარგეთ, ვერ შევირჩინეთ.... როგორ და რანაირად? ამაზე არას ვიტყვი. ყველას კარგად მოეხსენება როგორ დავკარგეთ და რათაც ვერ შევირჩინეთ.

მსგავსად რეგვენის სახლის პატრონისა, ჩვენ დავანგრიეთ ძველი სახლი, — იმ დროს, როცა ჯერ ახალი არ აგვეშენებინა, ჩვენ დავკარგეთ ძველი უფლებანი,

იმ დროს, როცა ახალი ჯერ არ შეგვეძინა. ჩვენ მოგვიცვა უუფლებობის წყვდიადმა, ჩვენ ჩაგვნთქა საყოველთაო უმეცრებამ, საყოველთაო სიბრიყვემ. და რაც უფრო ყველაზე საოცარია ჩვენ ფუქსავატურის თვალით ვუყურებთ იმ უბედურებას, რომელიც თავზე დაგვატყდა!..

საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ ცრუ, ვითომდა მეცნიერნი მეცნიერების სახელითვე არა თუ ამხილებენ და დასცინიან იმათ, ვინც სწუხან ამ უფლებათა დაკარგვის გამო, არამედ დასცინიან და მასხარათ იგდებენ თვით ჩვენს ძველ უფლებებსაც. ზოგნი ხომ—რომელთა რიცხვიც მრავალზე უმრავლესია—სახელითა დემოკრატიის უმაღლეს იდეალებისა, სახელითა სოციალიზმისა და საერთაშორისო ურთიერთობისა, სწყევლიან არა მარტო ჩვენს ძველ უფლებათ, არამედ სწყევლიან და ეზიზღებათ ის წარსულიც, რომელ-

მაც ჩვენ გვიანდერძა ის უფლებანი. ასეთი ფაქტი, ასეთი მოვლენა ერთად ერთია მთელის ევროპის ისტორიაში!.. ის ხალხი, რომელმაც დაჰკარგა თავისი ჭერი და კერა, მოხარულია უსახლკაროობისა გამო, ის ხალხი, რომელმაც დაჰკარგა თავისი მეობა და უფლებანი, ტაშს უკრავს თავისს დამონებასა!..

მე გადაჭარბებით არას ვამბობ! აბა თვალი ადევნეთ ჩვენ პარტიულ პოლემიკას—მერე როგორ პოლემიკას!—აბა ყური დაუგდეთ დემოკრატიის ყალბ ორატორებსა, თუ მქადაგებლებს და დამეთანხმებით, რომ მე არ ვაჭარბებ.

გაბოგანოებულებმა, უფლება აყრილებმა პარტიულის პოლემიკისა და კინკლაობისა გამო, მგონი, ნიჭიც კი დავკარგეთ უბრალო აზრის გაგებისა, შეთვისებისა!..

რისთვის, რომელის უმაღლესის მოსაზრებით უარსა ჰყოფენ, მაგალითად, თუნდა

ჩვენი დასელები არჩევნებზე დამყარებულ იმ მმართველობას, რომელიც ჩვენა გვქონდა ძველათ?

— ყველა ამას ჩვენ უარსა ვყოფთ სახელითა უმაღლეს სოციალურ იდეალისა, სახელითა თანამედროვე დემოკრატიულ ერთობისაო.

— გვიპასუხებენ ისინი. არჩევის უფლება მაშინ მხოლოდ აზნაურებსა და სამღვდელოებას ჰქონდა. ეს კი უპირატესობა, პრივილეგია იყო და ჩვენ-კი დაუძინებელი მტრები ვართ ყოველივე უპირატესობისაო.

— ჭეშმარიტად—ვუპასუხებ მე—ყოველივე უპირატესობა საზიზღარია და მოსასპობიც. უფლებათა თანასწორობა, განურჩევლად სქესისა, საფუძველია თანამედროვე საზოგადოებრივობისა, აქეთ მი-

ისწრაფვის დემოკრატია მთელის ქვეყნისა. ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენში განა ხმა ამოიღო ვინმემ არჩევანზე დამყარებულ ეროვნულ მმართველობის დემოკრატიზაციის შესახებ? განა კრინტი კი დასძრა ვინმემ მაშინ, როცა ნაცვლად, თუმცა ცუდისა, მაგრამ სამშობლო ენაზე საქმისმწარმოებელ მმართველობის მაგიერ, ჩვენ ხალხს თავზე მოახვიეს უცხო მმართველობა, უცხო ენითა და ზნე-ჩვეულებით? თუ ეს უცხო ენა ვაივაგლახით ესმოდა ჩვენ მაღალ წოდებასა და ინტელიგენციას, განა იგი დღესაც გაუგებარი და უცხო არ არის ჩვენის ხალხისათვის, ე. ი. ორ მილიონ მშრომელ ხალხისთვის!

თუ ჩვენი დასელები მარტო სიტყვით არ არიან დემოკრატები, მათი წმინდა მოვალეობაა იქადაგონ სამშობლო ენის

აღორძინებისა და ეროვნულ მმართველობის დამყარების შესახებ.

ყველასი, და ნამეტნავად დემოკრატიის, ბუნებრივი უფლებაა განსჯილი იყოს თავის სამშობლო ენაზე, ყველასი, და უფრო კი დემოკრატიის, ბუნებრივი უფლებაა პირადი და საზოგადო საქმეები მოაწყოს სამშობლო ენაზე, იმ ერთად ერთ ენაზე, რომელიც იმას ესმის. ვინც დემოკრატიას უჭერს მხარს, იმისი მოვალეობაა დაიცვას პიროვნების ეს უუმაღლესი და უუწმინდესი უფლებაც.

— მაგრამაო—მიპასუხებენ დასელები, ეს ხომ ნაციონალიზმია და ჩვენ კი...

რაცა გნებავთ, ის სახელი უწოდეთ, მაგრამ იცოდეთ კი, უამისოდ თქვენ დემოკრატი, თანასწორ უფლების დამცველი არ ხართ. რა სახელიც უნდა დაირქვათ, უმაღლეს იდეალების რომელ დროშასაც უნდ ამოეფაროთ, თქვენ არადე-

მოკრატობას ვერ დაჰფარავთ. ადრე თუ გვიან, ხალხი გაგიგებთ ცულლუტობას და გამცემელს გიწოდებთ, სულ ერთია ნებსითია ეს გამცემლობა, თუ უნებლიეთი.

— ჩვენ სოციალ-დემოკრატები, რუსეთის ამ დიდებული პარტიის წევრები და გამცემლობა?...

— ვიცი!... ასეთი დაძახილი დიდი უსამართლობაც იქნება, ვინაიდან ეჭვი არავის აქვს, რომ თქვენ ერთგულად გიყვართ ხალხი და მუშათა კლასი, მაგრამ რათ ხმარობთ და ეფარებით ისეთ ტერმინებს, რომლებიც არ შეეფერება და ვერც გამოხატვენ სოციალიზმისა, დემოკრატიისა და ერთა შორის ძმობა-ერთობის დამამყარებელ უმაღლეს პრინციპებს? აი, მაგალითად, თქვენ დადეგით რუსეთის პარტიის დროშის ქვეშ. ამითი ხომ თქვენ თქვენს თავს აცხადებთ არა **ინტერნაციონალისტებათ**, არამედ თქვენ

თავს აცხადებთ **იმპერიალისტებათ**. რუ-
სეთი **იმპერიაა** და არა **ნაცია**. რაკი
თქვენ იმპერიალისტი ხართ, მაშასადაძე,
თქვენ საკალდებულოთ მიგაჩნიათ საიმპე-
რიო ენა, საიმპერიო მმართველობის ერ-
თიანობა. ამით თქვენ ღალატობთ, უარ-
ჰყოფთ ძირითად პრინციპს დემოკრატიი-
სას — ავტონომიურ თვითმართველობას
ეროვნულ ენაზე. ეს კიდევ ცოტაა. ხართ
რა იმპერიალისტები, და გრწამთ რა ცენტ-
რალიზმი მართვა-გამგეობისა, და ამავე
დროს თქვენ სოციალისტურ პროგრამას
ამყარებთ რა „კომუნისტურ მანიფესტზე“,
—თქვენ უქადით ჩვენ გლეხობას გაბოგა-
ნოებას, თქვენის მეოხებით დაჰკარგავს იგი
თავის ბალ-ვენახებს და გარდაიქცევა
უსახლკარო, უფლება-აყრილ მოჯამაგი-
რე-სალდათად შრომის ლაშქრისა...

ყოველი სოციალდემოკრატი, რო-
მელიც ამ სტრიქონებს წაიკითხავს, უე-

ჭველია გულის წყრომით მომიხსენებს და იტყვის: „საზიზღარ ცილსა გვწამებს, განგებ ამახინჯებს ჩვენის პარტიის პროგრამასაო!“ გარწმუნებთ, მე არც ცილისწამებისათვის მცალია და არც ვისივე პროგრამის დამახინჯებისათვის. მე ღრმათა მწამს გულწრფელობა და პატიოსანი მისწრაფება ჩვენის დასელებისა. მე მსურს მხოლოდ გამოვარკვიო მიზეზები, წყარო ჩვენის საერთო უბედურებისა, ჩვენის დაკნინებისა, ჩვენი საზოგადოებრივობის უძლურებისა. მე მსურს დავაჯერო ჩემი თანამოძმენი, ჩემი თანამემამულენი, რომ სათავე ყოველივე სიგლახისა, ყოველივე უბედურებისა ისევ ჩვენშივეა. მიზეზები ჩვენის გათახსირებისა გამომდინარეობენ ჩვენის საზოგადოებრივ აზრისა და ჩვენში მომქმედ საზოგადოებრივ დასთა პროგრამების ფორმულათა არევ-დარევისა და გაუგებ-

რობისაგან. აი, ამიტომაც ვამბობ, რომ არ შეიძლება მეთქი ერთსა და იმავე დროს კაცი, ადამიანი **ინტერნაციონალისტიც** იყოს და **იმპერიალისტიც**. რუსეთი ნიშნავს იმპერიას, სახელმწიფო, იმპერია კი ჰყლაპავს ეროვნებებს, განურჩევლად სარწმუნოებისა, მოდგმისა და ენისა; იმპერიის გაძლიერებასა და მთლიანობას ექვემდებარება ყველა ადგილობრივი ეროვნული უფლებანი და ინტერესები.

იმპერიალიზმი სრული მოპირდაპირეა ინტერნაციონალიზმისა, ერთი მეორის მოწინააღმდეგე ცნებაა. იმპერიალიზმი უმორჩილებს ყველა ერებს თავის პოლიტიკის ინტერესებს, ინტერნაციონალიზმი კი სცდილობს ძმურის კავშირით შეაერთოს თანასწორ უფლებიანი, ავტონომიური, თავის თავის გამგებელი ნაციები... არა სახელმწიფოები, არა იმპე-

რიები, არამედ ნაციები, ერები-მეთქი.... გაიგეთ? ნაციები და არა სახელმწიფოები! ჩვენი დასელები კი, გაუგებრობისა და უმეცრების წყალობით, თავის თავს ინ-ტერნაციონალისტებს უწოდებენ და ამავე დროს იმპერიალიზმის დროშის ქვეშ კი დგებიან.

აქედან გამომდინარეობს მათი დუხ-ჭირი მდგომარეობა, მათი ტრაღიზმი: იმპერიალიზმის გულისათვის ჩვენი და-სელები უარსა ჰყოფენ ჩვენს ეროვნულ უფლებებს, სასამართლოს, სკოლას და არჩევნებზე დამყარებულ მართველობას ქართულის ენით, რომელი ენაც მხოლოდ ესმით გლეხობასა და მუშებს საქართვე-ლოისას, თუმცა ამავე დროს, როგორც ყველამ ვიცით, ჩვენი დასელები მთელ თავის ძალღონეს სწირავენ ჩვენის ხალ-ხისა და მუშების კეთილდღეობას. განა ეს ტრაღიზმი, სიდუხჭირე არ არის? განა

ეს არ უდრის იმ რეგვნულ საქციელს, როცა ძველ სახლს ანგრევენ და ახალი კი არსადა სჩანს?...

II

არა ნაკლები სიდუხჭირე და ტრალიზმი გამომდინარეობს ჩვენთვის იმ გარემოებიდანაც, რომ რიგიანათ არ ესმით და არეულ-დახლართულათ გამოსთქვამენ ხოლმე პრინციპებს ფედერალიზმისას, სოციალიზაციისასა და ავტონომიისას. გაუგებრობა და გაურკვევლობა იმ ცნებათა, რომლებიც ამ საკითხებს შეეხება და რომელთაც ალიარებენ ჩვენი საზოგადოებრივი დასები, წარმოსდგება იმ ბუნდოვანობისა და გაურკვევლობისაგან, რომელიც გამეფებულია გერმანიის სოციალ-პოლიტიკურ ლიტერატურაში, რომელ ლიტერატურის ზეგავლენითაც, სამწუხაროთ, შეჰ-

ქმნა ჩვენმა თანამედროვე თაობის უმრავლესობამ თავისი საზოგადოებრივი იდეალები.

ფილოსოფიურათა, მეცნიერულათა და არტისტიულათ უმაღლესად განვითარებული გერმანია პოლიტიკურათ ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანაა მთელს ევროპაში. კონსტიტუცია და სამოქალაქო კანონმდებლობა გერმანიის სახელმწიფოებისა დღევანდლამდი სავსეა საშუალო საუკუნოების ფეოდალიზმითა და უუფლებობით. პრუსიის კონსტიტუციით, მაგალითად, მუშათა კლასი და გლეხობა პრაკტიკულად მოკლებულნი არიან საარჩევნო უფლებას, სიტყვისა და კრების თავისუფლებას. ასევე არის საკსონიისა და სხვა სახელმწიფოებში. არას ვიტყვი ჰოლანდიასა, შვეიცარიასა, საფრანგეთსა და ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რომლებიც ითვლებიან აკვნათ თავისუფლებისა თვით ესპანიაშიც კი კონსტიტუცია და პოლი-

ტიკური უფლებანი მუშათა კლასისა უფრო ლიბერალური და ფართოა.

გერმანიაში სოციალდემოკრატები კრების თავისუფლებათ სთვლიან პოლიციის მიერ ნებადართულ ლექციას, რომელსაც პოლიციის წარმომადგენელი ესწრება და ყოველწუთში შეუძლია შესწყვიტოს ეს ლექცია, მაშინ, როდესაც ზემოდ-დასახელებულ ქვეყნებში ხალხი იკრიბება, საცა უნდა, და როცა სურს, ლექციებს კითხულობენ და მსჯელობენ რაზედაც ნებავთ და ამის ნებართვას არც არავისა სთხოვენ და არც არავისა ჰკითხავენ.

გერმანიის კოროლებისა და თავადების კავშირი თვით სოციალდემოკრატებს ფედერალიზმათ მიაჩნიათ. მოკავშირე სახელმწიფოებს შეიძლება კონსტიტუციონალური სხვადასხვა დაწესებულება ჰქონდესთ, ან სულ არა ჰქონდესთ იგინი. ფედერატიულად კი შეკავშირდებიან ხოლმე ერე-

ბი, ანუ ოლქები და პროვინციები. ამ-
გვარ კავშირს საფუძვლად უდევს ხოლმე
ხელშეკრულობის ხარტია, რომელიც უზ-
რუნველჰყოფს პოლიტიკურსა, თუ სხვა
ყოველგვარ უფლებას იმ ავტონომიურ
ოლქებისას, რომლებიც შედიან კონფე-
დერენციაში. ასე, მაგალითად, რა ადგი-
ლობრივი დაწესებულებანიც არ უნდა და-
იარსონ, ან რა კანონებიც არ უნდა შე-
მოიღონ ჩრდილო-ამერიკის 48 ავტონო-
მიურმა შტატებმა, ან შვეიცარიისა 22 ავ-
ტონომიურმა კანტონმა, თანასწორუფ-
ლებიანობა, პიროვნების ხელშეუხებლობა,
საყოველთაო საარჩევნო უფლება, — უფ-
ლება იმისა, რომ ყველა მოქალაქეს შე-
უძლია არჩეულ იქნეს, არამცთუ ამა თუ იმ
დაწესებულების მოხელეთ, არამედ პრეზი-
დენტათაც კი, უფასო, საყოველთაო და სა-
ვალდებულო სწავლება და საზოგადოებრი-
ვი(კომმუნალური) აღზრდა ობლებისა, უცვ-

ლელად სავალდებულოა მთელის კონფედერაციისათვის. გერმანიის სახელმწიფოთა კავშირში კი ამისთანა არა ხდებარა.

ჩვენს ინტელიგენციას კი—და მათ გავლენით მუშებსა და გლეხებს-—წარმოუდგენიათ, რომ გერმანია კაცობრიობის სათაურში სდგას, ის გერმანია, რომელიც ცნობილია მხოლოდ თავისი მილიტარიზმითა და ფილისტეროობით. პოლიტიკურად იგი სათავეში კი არა სდგას, არამედ დემოკრატიის უკან მიჩანჩალებს. ჩვენი საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა გერმანელთა იმ მყვირალა წიგნაკებმა, რომელთაც ენდვნენ. ნამდვილათ კი გერმანიის ცხოვრება ისე არ არის მოწყობილი, როგორც აწერილია ამ ბაქია წიგნაკებში. ვის არ ახსოვს შესანიშნავი სიტყვები აწ უკვე გარდაცვალებულის ლიბკნეხტისა: „ჩვენ არავისი არ გვეშინია!“ ნამდვილათ კი, აი, რა მოხდა: ერთხელ ამ სახელო-

ვანმა და ყველასაგან პატივცემულმა დეპუტატმა მოინდომა ინგლისურიდან გერმანულათ გადმოეთარგმნა თავისი მეგობარის, ინგლისელ ბაროვსის ლექცია. იქ დამსწრე პოლიციელმა აუკრძალა და გულადი და უშიშარი დეპუტატი იძულებული შეიქნა პოლიციელს მოწიწებით დამორჩილებოდა. განა ეს ტრაღიზმი არ არის?

ჩვენ გლეხებსა და მუშებს კი არწმუნებენ, რომ ჩვენ სწორეთ გერმანელებს უნდა მივბაძოთო, იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ თუმცა ეს ორმოცდა ათი წელიწადია ქადაგებენ და იბრძვიან გერმანელები, მაგრამ იმდენი უფლებაც კი ვერ შეუძენიათ, რაც შეიძინა ჩამორჩენილ ესპანიის პროლეტარიატმა!..

ყველაზე უფრო შესაზარი, აუგებრობა და ტრაღიზმი ჩამარხულია სოციალურ სამართლიანობის გერმანულ ფორმულა-

ში. ყველას მოეხსენება, რომ მარქსიზ-
მის წმინდათა წმინდა „კომმუნისტური
მანიფესტია“. როგორ არის გამოთქმული
აქ ეს სოციალური სამართლიანობა?

„საქართველოის მუშებო და გლეხებო,
ყური კარგათ დაუგდეთ და დაიხსომეთ,
რასაც გპირდებიან.

აი ეს დაპირებანიც:

„საკუთარ ადგილ-მამულების ძალათ-
ჩამორთმევა (ექსპროპრიაცია) და მიწის
შემოსავლის გადადება სახელმწიფო ხარ-
ჯების დასაფარავათ“...

„კრედიტის ცენტრალიზაცია სახელ-
მწიფოს ხელში... განსაკუთრებულის მო-
ნოპოლიით.“

„მიმოსვლისა და ბარგის საზიდ საშუა-
ლებათა ცენტრალიზაცია სახელმწიფოს
ხელში.“

„გამრავლება სახელმწიფო ფაბრიკების
რიცხვისა.

„დამუშავება მინდვრებისა საერთო გეგმით.

„დაარსება შრომის დაშქრისა, განსაკუთრებით მიწისმოქმედებისათვის“.

ყველგან სახელმწიფო, ყველაფერი სახელმწიფოსათვის, ყველაფერი სახელმწიფოს - მიერ. მუშებს რაღა? დღიურათ მუშაობა სახელმწიფო ქარხნებში. გლეხებს? გლეხებმა თავისი საკუთარი მიწები უნდა გადასცენ სახელმწიფოს და შემოსავალიც უნდა აძლიონ ამავე სახელმწიფოს. დიდებული სოციალური სამართლიანობა კი არის, თუ თქვენც დამეთანხმებით!..

ამ „სოციალურ სიკეთეს“ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გლეხებს ნება არ ექნებათ თავისებურათ დაიმუშაონ თავისი მიწა-ვენახები. იმათ უნდა იმუშავონ იმ ჩინოვნიკურ გეგმით, რომელსაც გამოუგზავნის სამინისტრო, ვინაიდან „კომმუნისტურ მანიფესტის“ წყალობით გლეხი

გარდაიქცევა უბრალო ჯარისკაცად შრომის ლაშქრისა. ასეთია საბოლოო იდეალი მარქსიზმისა!

მე ვიცი, რომ ჩვენი დასელები სასტიკად უმალავენ მუშებსა და ნამეტნავად გლეხებს ამ უზნეო იდეალს ჯარისკაცობისა და უუფლებობისას. ვიცი ისიც, რომ ჩვენი ახალგაზდობა, რომელიც „რუსეთის პარტიის“ დროშის ქვეშ დადგა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ისინი იმპერიალისტებათ გადაიქცეოდენ და სოციალურ სამართლიანობისა, თავისუფალ ასოციაციებისა და კოოპერაციების დაარსების ნაცვლად, ჩვენი გლეხების გასალდათებასა და გაბოგანოებას იქადაგებდენ.

დაე, პატიოსანი ხალხი ჩაუკვირდეს ამ ტრაღიკულ მდგომარეობას. იქნება მაშინ მაინც მიხვდენ, რომ საზარელ ისტორიულ გაუგებრობისა გამო, ისინი იწვევ-

დენ ჩვენს ხალხს არა სოციალურ გათავისუფლებისაკენ, არამედ თვითმკვლელობისა და ნებაყოფლობით დამონებისაკენ.

თუ აღმაშფოთებელი სირეგვნეა ძველი სახლის დანგრევა, როცა ახალი არა გვაქვს, თუ გამცემლობას უდრის ხალხის ძველ უფლებათა უარის ყოფა საოცნებო მომავლისათვის, მეტ ცოდვათა და მძიმე დანაშაულათ უნდა ჩაითვალოს მოწოდება ხალხისა პოლიტიკურ და სოციალურ თვითმკვლელობისაკენ, თავის თავზე ხელის აღებისაკენ, სალდათობისა, უუფლებობისა და ნებაყოფლობით დამონებისათვის, იმის გულისათვის, რომ ათასი ვერსის სიშორიდან ჩვენ ხალხს ვიღამაც უცხო, გაუგებარ ენაზე ბრძანებანი უგზავნოს...

III.

იმავე მოუფიქრებლობისა, სოციალიზ-

მისა და ამ სოციალიზმის ზნეობრივ მოთხოვნილებათა საანბანო ჭეშმარიტებათა უცოდინარობის ბრალია ის საზარელი გარემოება, რომ ასე ვაღმერთებთ კაპიტალიზმს, როგორც პროგრესიულს სოციალურ ფაკტორს.

კაპიტალიზმი, ე. ი. მითვისება ხალხის შრომის ნაყოფისა მექარხნეთა, მოგირავნეთა, მევახშეთა, ბანკირებისა, ჩარჩებისა და სხვა წურბელებისაგან... ჩვენ უმეცარ დასელებსა და მათ თანამოღვაწე სომხის პლუტოკრატებს, როგორიც არის, თუნდა, იშხანიანი—პროგრესის ფაკტორი ჰგონიათ. ჩარჩები, მევახშეები, მოგირავნეები და მთელი პლუტოკრატია რომ ცოდვების დამალვასა და თავის თავის გათეთრებასა სცდილობენ, ეს ადვილი ასახსნელი და სრულიად ბუნებრივია, მაგრამ ვარწმუნებ ჩვენ დასელებსა და მათ თანამოსაგრე იანცებს, რომ უკვ-

დავ შჩედრინის გმირები ჟივოდეროვები, კოლუპაევები და რაზუვაევები პროგრესის მამოძრავებლად ვერ გადაიქცევიან, მარტო ამიტომ, რომ სახელათ დაირქვან ჟივოდერიანცი, კოლუპიანცი, თუ რაზუვიანცი.

კაპიტალიზმი, პლუტოკრატია და პროგრესი? მაშინ ხომ მუშათა მთელი მოძრაობა, მთელი სოციალიზმი ბარბაროსობათ გარდაიქცეოდა, რადგანაც ერთიცა და მეორეც კაპიტალიზმის ყოველგვარ ფორმის წინააღმდეგაა მიმართული. ნამეტნავად კაპიტალიზმის დიდი მტერია სახელმწიფოს მოტრფიალე გერმანიის სოციალდემოკრატია, რომელსაც მთელი თავისი პროპაგანდა კაპიტალიზმისა და პლუტოკრატიის წინააღმდეგ აქვს მიმართული. თვით სომეხმა მუშებმა, რომელთაც, სხვა ეროვნების მუშებთან ერთად, ამას წინათ სტამბოლში პირველი მაისი

იდღესასწაულეს, თავის პროკლამაციაში გამოაცხადეს: „ძირს ბურჟუაზიაო!“ ჩვენ დასელებს კი—იშხანიან-ეივოდერიანც-რაზუვიანცებთან ერთად,--კაპიტალიზმი პროგრესის კვარცხლბეკზე წამოუსკუპებიათ!

როგორ მოხდა ეს? რა არის იმის მიზეზი, რომ ჩვენი ,დასელები სოციალიზმის სახით კაპიტალიზმს ხოტბას უგალობენ და სოციალურ ურთიერთობის ნაცვლად „შრომის ლაშქარს“, გლეხთა გაბოგანოებას, უმიწაწყლოთ დარჩენასა და დამონავებას ქადაგებენ?

ამის უმთავრესი მიზეზი გახლავთ საყოველთაო უმეცრება, საყოველთაო სიბრიყვე (поголовное безграмотное невѣжество) ჩვენი დასელების მეთაურებისა, ჟურნალისტებისა და მქადაგებლებისა (პროპაგანდისტებისა). მათ გაიგონეს ცრუ-მეცნიერული ფორმულა და თვითონ კი ძალა არ შესწევდათ გაერკვი-

ათ, შეეგნოთ ფუქსავატობა ამ ვითომდა სოციალურ კანონისა. მერე, რომ იცოდეთ, რა ადვილი, რა უბრალო იყო, ამის შეგნება.

ფორმულა იგი ღაღადებს: „საზოგადოების სტრუქტურა (ნაშენობა) და განვითარება დამოკიდებულია წარმოების ფორმისა და დარგებისაგან“ *). თანამედროვე სხვილი წარმოება, თუნდა კაპიტალისტურიც, თავისთავად პროგრესიულია; მაშასადამე, კაპიტალიზმი არის პროგრესის მამოძრავებელი.

ამაზე დიდ სისულელეს ვერც ერთ კეთილსინდისიერად დაწერილ სამეცნიერო წიგნში ვერ იპოვნით. ფორმა და დარგები წარმოებისა დამოკიდებულია იმ ხელსაწყოზე, შრომის იმ იარაღებსა და მანქანებზე, რომელიც აქვს ამა თუ იმ

*) „Форма и виды производства обусловливаютъ структуру общества и его развитіе“.

საზოგადოებას. მანქანები და იარაღები— ნაყოფია კაცობრიობის ცოდნისა და გამოგონებისა, ხოლო თვით წარმოება, ე. ი. მოხმარება მანქანებისა და იარაღებისა, დამოკიდებულია მუშათა ტეხნიკურ და გონებრივ განვითარებაზე. ამ გვარად, წარმოება ისე, როგორც მხატვრობა, პოეზია და ლიტერატურა, წყარო, დასაბამი კი არ არის პროგრესისა, არამედ ნაყოფია კოცობრიობის ცოდნისა, გამოგონებისა და გონებრივ განვითარებისა. ეს ისეთი უბრალო, ნათელი და თვალსაჩინო ცნებაა, რომ მიყრუებული სოფლის მუშა და გლეხიც კი ამასვე გეტყვისთ, რასაც მე ვამბობ.

ხოლო მეცნიერების არც ერთ აღმოჩენასა, შრომის იარაღებისა და მანქანების გამოგონება—გაუმჯობესებაში არც ერთ კაპიტალისტს მონაწილეობა არ მიუღია: ყველა ეს შედეგია მეცნიერე-

ბისა, ხალხის გენიოსურ შემოქმედებისა და იმ დიდებულ გამომგონებელთა მეცადინეობისა, რომელნიც გამოვიდენ დაბალი ხალხისა და მუშათა შავ-ბნელ წიაღიდან.

რას გააკეთებდა მთელი ქვეყნის მილიონები, ოქროები, საფეიქრო, საქსოვი მანქანა, რომ არ მოეგონებინათ; რკინის გზები და გემები რომ არ აეშენებინათ; ორთქლით მოძრავი მანქანები და ელექტრონი, რომ არ აღმოეჩინათ? და ყველა ეს კი აღმოაჩინეს, მოიგონეს და გააუმჯობესეს ხალხის წიაღიდან გამოსულმა დიდებულმა მუშა-გენიოსებმა.

საფეიქრო მანქანა მოიგონა საწყალმა დალაქმა არკრაიტმა.

პირველი ორთქმავალი და რკინის გზა ააშენა მაღაროს ღარიბმა მუშამ სტეფენსონმა.

პირველი გემი ააგო უბრალო ტეხნიკოსმა ფულტონმა, სოციალიზმის დიდე-

ბულ მამის რ. ოვენის დახმარებით და სხვა და სხვა.

კაპიტალიზმმა კი მხოლოდ შეისყიდა, მოიტაცა, მიისაკუთრა ხალხის გენიოსობით შექმნილი დედებული გამოგონებანი. სხვის შრომისა და შემოქმედების ნაყოფის მითვისებასა და მონოპოლიას კი კაცობრიობა უწოდებს მტაცებლობასა, ძარცვა-გლეჯას და არა პროგრესს.

მეცნიერების აღმოჩენათა და ხალხის გენიოსობით გამოგონებათა სწორეთ ამ კაპიტალისტურმა მტაცებლობამ და კაპიტალიზმისაგან ხალხთა შრომის ნაყოფის მხეცურმა ექსპლოატაციამ და ძარცვა-გლეჯამ გამოიწვია ის დიადი სოციალური მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნისა, რომლის დროშის ქვეშაც დგებიან მუშები ყველა ქვეყნისა და მათ შორის სომეხი მუშებიც. დიახ, სომეხი მუშები და არა, სომხისა თუ სხვა ეროვ-

ნების კაპიტალისტები, კლერიკალები და მათი დამქაშ—მოსამსახურენი: ზოგიერთი ინტელიგენტი, ბიუროკრატები და თფილისელი მეეზოვენი!....

იმპერიალიზმი და მეობადაკარგული ცენტრალისტური დამორჩილება, ნაცვლად საერთოშორისო ურთიერთობისა თანასწორუფლებიან ეროვნებათა;

გაბოგანოება, უმიწაწყლოთ დატოვება გლეხებისა, დამუშავება მამულებისა ბიუროკრატების ბრძანებისამებრ საიმპერიო ცენტრიდან, ნაცვლად იმისა, რომ თვით გლეხები და მუშები განაგებდენ და თავისუფლად, ძმურის შეთანხმებით ხმაროობდენ მიწასაც და შრომის იარაღებსაც;

ქებათა ქება კაპიტალიზმისა და პლუტოკრატებისა, ნაცვლად ხალხის შრო-

მის ნაყოფის კაპიტალისტურ მტაცებლობის მოსპობისა;

შექმნა „შრომის ლაშქარისა“, ე. ი. დამონება შრომისა, ნაცვლად შრომის განთავისუფლებისა... აი ის გორა დებულებათა, რომლის მწვერვალზედაც სწადიათ აღმართონ დროშა სოციალიზმისა! მაგრამ ეს ხომ წინასწარგანზრახული, ბოროტი და—ვიტყვი გულახდით—ანგარებით აღსავსე დამახინჯებაა ძალა-ბატონობის მოყვარულ კარიერისტებისაგან იმ დიადი მოძღვრებისა, რომელიც გვასწავლის და გვიქადაგებს ძმობა-ერთობას, გვასწავლის და გვიქადაგებს თანასწორუფლებით აღჭურვილთა სოლიდარობას, სოლიდარობას იმ გულ-გონება განათლებულ ხალხთა შორის, რომელთაც თვისი ცხოვრება უნდა მოაწყონ ისე, როგორც თვითონა სურთ, თავის ნებით შეუთანხმდებიან რა თავის მეზობლებსა, ამა თუ იმ

ოლქის თანამოქალაქეებსა თუ ეროვნებას... დიახ ეროვნებას.

როგორც ქრისტიანობა—ქადაგებს რა:

„ნუ იქნება თქვენ შორის ნღრცა ელლინი, ნურცა იუდეველი, რამეთუ ძმანი ხართ ქრისტეს მიერო“ – არ უარჰყოფს ეროვნებას, პირიქით, მან დაამყარა მრავალი ეროვნული ეკლესია და მათ შორის ჩვენი, ქართული, ეკლესიაც, ისე სოციალიზმიც—აღიარებს რა ეკონომიურ თანასწორობას და ძმობა-ერთობას ხალხთა შორის, განურჩევლად საარწმუნოებისა და მოდგმისა, გვასწავლის ეროვნებათა ძალით მოსპობას კი არა, არამედ გვასწავლის და გვიქადაგებს, რომ თითოეული ერი უნდა განვითარდეს ყოველის მხრით და თავის ნებით ჩაებას კაცობრიობის სოლიდარულ ფედერაციის ფერხულში.

ვინც ეს საანბანო ჭეშმარიტება არ

იცის, ის არ არის სოციალისტი და სწორეთ იმიტომაც ვამბობ, რომ:

სოციალისტები კი არა, იმპერიალისტები არიან-მეთქი ჩვენი დასელები, ვინაიდან ისინი ქადაგებენ „შრომის ლაშქრის“ მოწყობასა და ჩვენი გლეხების უმიწაწყლოთ დატოვებასა.

სოციალისტები არ არიან ისინი, რომლებიც ამოჰფარებიან ჩერნოვისა და მის მეგობრების დროშას, მათის პროგრამა მინიმუმით, ვინაიდან, როგორც არ არსებობს მაქსიმუმი და მინიმუმი პატიოსნებისა, არამედ არსებობს მარტოოდენ პატიოსნება, ისე არ არსებობს მინიმუმი და მაქსიმუმი, არსებობს მხოლოდ სოციალიზმი.

ჩვენი დასელები შეიძლება იყვნენ საიმპერიო დემოკრატები, სოციალ-დემოკრა-

ტები, ან კიდევ რაცა გნებავთ, მაგრამ ისინი სოციალისტები კი არ არიან.

აქ საჭირო არ არის სოციალიზმის შესახებ სიტყვის გაგრძელება. მოგაგონებთ მხოლოდ, რომ ეს სიტყვა პირველად შემოიღეს თავისუფალ ინგლისის შვილებმა რობერტ ოვენმა და მისმა მეგობრებმა ამ ოთხმოცი წლის წინად და ნიშნავს საზოგადოებრივობას, ე. ი. წარმოება, განაწილება, მოხმარება, აღზრდა, ჰიგიენა და მთელი ცხოვრება წესრიგდება თვით საზოგადოებისაგან, საკუთარის თანხმობით, ნებაყოფლობითა და თანხმობით მომხმარებელთა შორის. არავის გარეშეს, თვით პარლამენტსა და ბიუროკრატიასაც კი, ნება არა აქვთ ჩაერიონ მათ საქმეში... არც შრომის ლაშქარს, არც მინიმუმებს, არც იმპერიალიზმს, არც „ყოვლადმოწინავე“ სომხისა, თუ სხვა კაპიტალიზმს აქ

ხელი არა აქვს, და არცა ჰქონიათ. გაიგეთ?

ყველა ჩვენი მყვირალა, მოკამათე, ცილისმწამებელი და ხშირად ერთმანეთის დამბეზღებელი პარტიები, არიან მხოლოდ და მარტო დემოკრატები ევროპიულის აზრით.—რადიკალ-დემოკრატები, ანუ სოციალ-დემოკრატები, მაგრამ მაინც დემოკრატები.

მოგაგონებთ დემოკრატიის პროგრამას, რომელიც აღნიშნა ლიბკნეხტმა-მამამ ჩრდილო-ამერიკის შტატების დიად დემოკრატიის წინაშე.

„რა გვინდა ჩვენ?

„თავისუფლება სიტყვისა და ბეჭდვისა. თავისუფლება სინიდისისა და საყოველთაო საარჩევნო უფლება სახელმწიფო, სამოქალაქო და სათემო საქმეებში.

„უსასყიდლო და ეროვნული საყოველთაო სწავლება; სკოლები ყველასთვის კარი ღია.

„მუდმივი ჯარის მაგიერ, ეროვნული მილიცია; საერთაშორისო სამედიატორო სასამართლო; დედაკაცისა და მამაკაცის უფლებათა გათანასწორება.

„კანონმდებლობითი მფარველობა შრომისა; (სამუშაო დროს შემცირება, სანიტარული გაუმჯობესებანი და სხვა...)“

აი, ის პროგრამა, რომელიც შემუშავებულია დემოკრატთა პარტიის დამაარსებლისა და ხელმძღვანელისაგან. ამ პარტიის დროშის ქვეშ სურთ დადგენ ჩვენი დასელები და თაყვანისმცემელნი ჩერნოვებისა და მიხაილოვსკებისა და დადგებოდენ კიდეც რომ... რომ შეეძლოთ შეგნება და ან დაწყვეტა პლეხანოვებისა და

ჩერნოვებისაგან გაბმულ იმპერიალისტურის ქსელისა.

„აი ის რეფორმები—დაამთავრა სიტყვა ლიბკნეხტმა, რომლებიც უკვე შემოღებულ იქმნენ, ან მალე შემოიღებენ დაწინაურებულ ქვეყნებში და ეს რეფორმები სავსებით შეესაბამება პრინციპებს დემოკრატიისასაო“. სრული ჭეშმარიტებაა! სრულიად შეჰფერის დემოკრატიას.

ამ პროგრამას ხელს მოაწერს ყველა ჭკვიანი და პატიოსანი ქართველი, განურჩევლად წოდებისა და საზოგადოებრივ მდგომარეობისა. ამას მით უფრო ადვილათ ჩაიდენს ქართველი კაცი, რომ ბევრი ამ რეფორმათაგანი ჩვენ უკვე გვქონდა, ხოლო დანარჩენების მოთხოვნის უფლება გვაქვს იმ ხელშეკრულობათა წყალობით, რომლებიც დაგვი-

ტოვა ჩვენმა მამაპაპამ. მილიკია, არ-
ჩევნებზე დამყარებული სასამართლო, არ-
ჩევნებზევე დაფუძნებული ადმინისტრა-
ცია, ე. ი. ავტონომიური, ეროვნული
თვითმართველობა სამშობლო ენით, სა-
ხალხო საყოველთაო სწავლება... ამის
წინააღმდეგი შეიძლება იყვნენ მხოლოდ
პურიშკევიჩები და. მოუხეშავ უმეცრების
და ტრაღიკულ გაუგებრობის გამო გა-
ოგნებული ჩვენი დასელები, რომელთა
ცხვირზედაც ხელი მოუკიდიათ რუ-
სეთის იმპერიალისტებს და ისე მიათრე-
ვენ მათ. ეს იმპერიალისტები ჰფიქრობენ
თავის ბატონობაზე; ოცნებობენ თავის
საკუთარ ბიუროკატიის შექმნაზე, რომ
შორიდან უბრძანონ ხოლმე, ჩვენის ტურ-
ფა, მაგრამ უცხოთაგან შეგინებულ სამ-
შობლოის გაბოგანოებულ გლეხებისა და
მუშათაგან შემდგარ „შრომის ლაშქარს“.

—

საბრალოა მონა, თავის ბატონის წინაშე მუცლით მხოხავი! მაგრამ ის მონა, რომელიც ხოტბას უგალობს ნებაყოფლობითი მონობას, უსაზიზღრესია.

საბრალონი არიან ისინი, ვინც სახლს ანგრევენ, თუმცა შეიძლება თავი გაიმართლონ იმითი, რომ ახალი სახლის აშენებამდი ქოხში, ფარდულში ვიცხოვრებთო.

მაგრამ რა უნდა ითქვას იმათ შესახებ, რომლებიც ფეხითა სთელენ თავისსა და მეზობლების უფლებებს, როცა უკეთესი არ მოუპოვებიათ?

რაც უნდა ლმობიერნი ვიყოთ, ეს კი უნდა ვუთხრათ: ბატონებო, უარჰყავით მხოლოდ თქვენი საკუთარი თავი, თუნდაც მონათ მიეყიდეთ სხვას, მაგრამ მეზობლებისა და თანა მოქალაქეთა მაგივ-

რათ ლაპარაკისა და მოქმედების უფლება კი არა გაქვთ. ისტორია შეგარცხვენთ თქვენ, შთამომავლობა—კი... შეგაჩვენებთ!..